ეთნიკური და საერო იდენტობა

1. **რომელი პიროვნული მახასიათებლებია (იდენტობა) თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?** [წაუკითხეთ]

საქართველოს მოქალაქეობა	1
თუ ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილება?	2
(ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია)	3
(არცერთი არ არის მნიშვნელოვანი)	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

2. **გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?** [წაუკითხეთ. როტაცია.]

		სრულად ეთანხმებით	**ეთანხმებით**	**არ ეთანხმებით**	**საერთოდ არ ეთანხმებით**	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	**საქართველოს მოქალაქეები ქართულად უნდა საუბრობდნენ**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
2	**მე ვამაყობ, რომ საქართველოს მოქალაქე ვარ**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
3	**საქართველოს მოქალაქეები მართლმადიდებელი ქრისტიანები უნდა იყვნენ**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
4	**მხოლოდ ეთნიკურად ქართველებს უნდა შეეძლოთ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
5	**თუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს სურს საჯარო სამსახურში მუშაობა, მან ქართული უნდა იცოდეს**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
6	**იყო ქართველი, ნიშნავს იყო ევროპელი**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
7	**არჩევნებში მივცემდი ხმას ჩემგან განსხვავებული რელიგიის ადამიანს**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
8	**არჩევნებში ხმას მივცემდი ჩემგან განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანს**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
9	**არჩევნებში ხმას მივცემდი იმას, ვინც არ იცის ქართული**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
10	**საქართველოში დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მომხდარი ომები გვაჩვენებს, რომ ქვეყანა და მოსახლეობა ეთნიკური უმცირესობების მიმართ უფრო ტოლერანტული უნდა იყოს**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**
11	**საქართველოში დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მომხდარი სეპარატისტული ომები გვაჩვენებს, რომ ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ**	**1**	**2**	**3**	**4**	**-1**	**-2**

3. **რა სახის საკითხებია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? თქვენ ყველზე მეტად გადარდებთ. . .** [წაუკითხეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]

ადგილობრივი (მაგ. პრობლემები ჩემს სოფელში ან სამეზობლოში)	1
რეგიონული (მაგ. პრობლემები ჩემს ქალაქში ან რეგიონში)	2
ეროვნული (მაგ. პრობლემები საქართველოში)	3
თუ საერთაშორისო (მაგ. პრობლემები რომლებიც ეხება ბევრ ქვეყანას)	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

4. **დაუჭერდით თუ არა მხარს შემდეგს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში?**

	მხარს დავუჭერდი	**არ დავუჭერდი მხარს**	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
სახელმწიფო მომსახურების მიწოდებას ქართულ და ეთნიკური უმცირესობების ენებზე	**1**	**0**	**-1**	**-2**
საგზაო ნიშნების დამონტაჟებას ეთნიკური უმცირესობების ენებზე	**1**	**0**	**-1**	**-2**
ეთნიკურ უმცირესობებს შორის სამოქალაქო დავების განხილვისას, სასამართლო პროცესის წარმართვას მათ ენებზე	**1**	**0**	**-1**	**-2**

5. **ამჟამად საქართველოს პარლამენტში 150 წევრიდან 21 წევრი ქალია. თქვენი აზრით ეს. . .** [წაუკითხეთ.]

ძალიან ცოტაა	1
ძალიან ბევრია	2
თუ საკმარისია?	3
(არ აქვს მნიშვნელობა)	*-5*
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

6. **თქვენი აზრით რა გავლენა ექნებოდა, პარლამენტში მეტი ქალი დეპუტატის ყოლას საქართველოზე? ამას ექნებოდა . . .** [წაუკითხეთ]

დადებითი გავლენა	1
უარყოფითი გავლენა	2
თუ არანაირი გავლენა?	3
(არ აქვს მნიშვნელობა)	*-5*
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

7. **ამჟამად საქართველოს პარლამენტში 150 წევრიდან 11 წევრი არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. თქვენი აზრით ეს. . .** [წაუკითხეთ.]

ძალიან ცოტაა	1
ძალიან ბევრია	2
თუ საკმარისია?	3
(არ აქვს მნიშვნელობა)	*-5*
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

8. **თქვენი აზრით რა გავლენა ექნებოდა, პარლამენტში მეტი ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენლების ყოლას საქართველოზე? ამას ექნებოდა . . .** [წაუკითხეთ]

დადებითი გავლენა	1
უარყოფითი გავლენა	2
თუა არანაირი გავლენა?	3
(არ აქვს მნიშვნელობა)	*-5*
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

9. **თქვენი აზრით რა გავლენა ექნებოდა, პარლამენტში მეტი ლგბტ დეპუტატის ყოლას საქართველოზე? ამას ექნებოდა . . .** [წაუკითხეთ]

დადებითი გავლენა	1
უარყოფითი გავლენა	2
თუა არანაირი გავლენა?	3
(არ აქვს მნიშვნელობა)	*-5*
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

10. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს საკონსტიტუციო შეთანხმებით მინიჭებული უფლება, რომელიც მას საქართველოში განსაკუთრებულ იურიდიულ სტატუსს აძლევს. მხარს უჭერთ თუ არა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ იურიდიულ სტატუსს?

მხარს ვუჭერ	1
არ ვუჭერ მხარს	2
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

11. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? [წაუკითხეთ. როტაცია.]

		სრულად ეთანხმებით	*ეთანხმებით*	*არ ეთანხმებით*	*საერთოდ არ ეთანხმებით*	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ხელს უწყობს მორალური ღირებულებების შენარჩუნებას საზოგადოებაში	**4**	**3**	**2**	**1**	-1	-2
2	საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ხელს უწყობს საქართველოს რუსეთთან დაახლოებას	**4**	**3**	**2**	**1**	-1	-2
3	საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ჩვენი თვითმყოფადობის საფუძველია	**4**	**3**	**2**	**1**	-1	-2
4	საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი ოჯახისათვის	**4**	**3**	**2**	**1**	-1	-2

დამოკიდებულებები დასავლეთის მიმართ

12. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთახნმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესაძლო შედეგების შესახებ:

		სრულად ვეთანხმები	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	საერთოდ რ ვეთანხმები	*(არ ვიცი)*	*(ორი პასუხზე)*
1	საქართველოს უკეთესი ეკონომიკა ექნება	4	3	2	1	-1	-2
2	საქართველოში უფრო მეტი დემოკრატიული ინსტიტუტი და ღირებულება დამკვიდრდება	4	3	2	1	-1	-2
3	ქართველებს ექნებათ შესაძლებლობა, უფრო იოლად წავიდნენ ევროკავშირში სასწავლებლად ან - სამუშაოდ	4	3	2	1	-1	-2
4	ადამიანის უფლებები უკეთ იქნება დაცული საქართველოში	4	3	2	1	-1	-2
5	საქართველო რუსეთისგან უკეთ იქნება დაცული	4	3	2	1	-1	-2
6	საქართველოს უფრო საქმიანი მთავრობა ეყოლება	4	3	2	1	-1	-2
7	საქართველო უფრო ევროპული გახდება	4	3	2	1	-1	-2
8	ევროპული ინტეგრაცია საქართველოს სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან დააახლოებს	4	3	2	1	-1	-2

13. თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებაში დაეხმარა, ზიანი მიაყენა, თუ არ უმოქმედია? [წაუკითხეთ.]

	დაეხმარება	არ უმოქმედია	ზიანს მიაყენა	*(არ ვიცი)*	*(ორი პასუხზე)*	*(არ გამიგია ამის შესახებ)*
გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროკავშირის დატოვებამ	1	2	3	-1	-2	-5
რუსეთის ანტიდასავლურმა პროპაგანდამ	1	2	3	-1	-2	-5
საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ანტიდასავლურმა რიტორიკამ	1	2	3	-1	-2	-5
აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით საქართველო-რუსეთის დაპირისპირებამ	1	2	3	-1	-2	-5

14. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას? [წაუკითხეთ]

	სრულად ეთანხმებით	ეთანხმებით	არ ეთანხმებით	საერთოდ არ ეთანხმებით	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს	1	2	3	4	-1	-2

15. თქვენი აზრით, ვის შეუძლია ამჟამად საქართველოსთვის მეტი დახმარების გაწევა - ევროკავშირს, ამერიკას თუ რუსეთს? [წაუკითხეთ.]

ევროკავშირს	1
ამერიკას	2
რუსეთს	3
*(არ წაუკითხოთ) სხვას (ჩაინიშნეთ)*_____	4
(არცერთს)	-5
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

16. უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას?

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

17. არჩევანის გაკეთება რომ მოგიწიოთ ერთი მხრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებასა და მეორე მხრივ, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდით?

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას	1
ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას	2
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

დამოკიდებულებები ისტორიის მიმართ

საქართველოს უახლოეს ისტორიაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება არსებობს. ახლა რამდენიმე კითხვას დაგისვამთ საკითხთან თქვენი დამოკიდებულებების შესახებ.

18. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას? [წაუკითხეთ. როტაცია.]

		სრულად ეთანხმებით	ეთანხმებით	არ ეთანხმებით	საერთოდ არ ეთანხმებით	*(არ ვიცი)*	*(ორი პასუხზე)*
1	1989 წლის 9 აპრილი იყო ტრაგედია	4	3	2	1	-1	-2
2	1989 წლის 9 აპრილი დადებით მოვლენა იყო, რადგან ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე დადგომას	4	3	2	1	-1	-2
3	აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 90-იანი წლებში მომხდარი ომების თავიდან არიდება შეიძლებოდა	4	3	2	1	-1	-2
4	ყველაფერი გაკეთდა, რათა 2008 წლის აგვისტოს ომი თავიდან აგვეცილებინა	4	3	2	1	-1	-2
5	1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის კარგი მოვლენა იყო.	4	3	2	1	-1	-2

19. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას? [წაუკითხეთ. როტაცია.]

		სრულად ეთანხმებით	ეთანხმებით	არ ეთანხმებით	საერთოდ არ ეთანხმებით	*(არ ვიცი)*	*(ორი პასუხზე)*
1	ზვიად გამსახურდია საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტი იყო	4	3	2	1	-1	-2
2	ზვიად გამსახურდიას გარეშე საქართველო ვერ გახდებოდა დამოუკიდებელი	4	3	2	1	-1	-2
3	ზვიად გამსახურდია არის პასუხისმგებელი სამხრეთ ოსეთში ომის დაწყებაზე	4	3	2	1	-1	-2
4	ზვიად გამსახურდია არის პასუხისმგებელი აფხაზეთში დაწყებაზე	4	3	2	1	-1	-2
5	ზვიად გამსახურდიას დამხობა საქართველოსთვის ცუდი მოვლენა იყო	4	3	2	1	-1	-2

20. **თქვენი აზრით, რა იყო საქართველოს მთავრობის ყველაზე დიდი წარმატება 1992-დან 2003 წლებში?** [შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]

კონფლიქტების სტაბილიზაცია/დარეგულირება	1
თბილისის ომის/სამოქალაქო ომის დასრულება	2
ლარის შემოტანა/გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია	3
საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება	4
საგარეო პოლიტიკაში დასავლური ორიენტაციის არჩევა	5
აღმოსავლეთ-დასავლეთ ენერგეტიკული დერეფნის შექმნა (ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, შაჰ-დენიზის გაზსადენი)	6
მოსახლეობის დონეზე ქართულ-ოსური შერიგების ხელშეწყობა	7
ევროპის საბჭოში გაწევრიანება	8
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება	
ვაზიანში რუსული სამხედრო ბაზის დახურვა	9
*სხვა (ჩაინიშნეთ)*_____	10
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2
მთავრობას არ ჰქონია წარმატება	*-5*

21. **თქვენი აზრით, რა იყო საქართველოს მთავრობის ყველაზე დიდი წარუმატებლობა 1992-დან 2003 წლებში?** [შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]

დაუშვა ეკონომიკური კოლაფსი	1
არაფერი გააკეთა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომების თავიდან აცილების მიზნით	2
რუსეთს დაშორდა	3
ეფექტურად ვერ მართა მთელი ქვეყანა	4
ვერ შექმნა ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები	5
დაუშვა კორუფცია	6
ვერ შეძლო დასავლეთის ჩართვა კონფლიქტების მოგვარებაში	7
ვერ დახურა რუსეთის სამხედრო ბაზები	8
დაუშვა ჩეჩენი ბოევიკების გადმოსვლა პანკისში	9
დაუშვა 1998 წელს მომხდარი სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში/გალის მოვლენები	10
დაუშვა კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებას/კანონის და წესრიგის ნაკლებობა	11
ვერ აღმოფხვრა ელექტროენერგიის დეფიციტი/უშუქობა	12
*სხვა (ჩაინიშნეთ)*_____	13
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2
(მთავრობას არ ჰქონია წარუმატებლობა)	-5

22. **თქვენი აზრით, რა იყო საქართველოს მთავრობის ყველაზე დიდი წარმატება 2003-დან 2012-წლებში?** [შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]

წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრა	1
საქართველოს დაახლოება ევროკავშირთან, ნატოსთან და დასავლეთთან	2
არჩევნების ხარისხის გაუმჯობესება	3
ერთიანი ეროვნული გამოცდები	4

ჯანდაცვის სისტემის რეფორმა	5
სასამართლო რეფორმა	6
რუსეთის სამხედრო ბაზების დახურვა	7
ეკონომიკის დერეგულაცია	8
ეკონომიკური ზრდა	9
კრიმინალთან ბრძოლა/კანონი და წესრიგი	10
საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება	11
*სხვა (ჩაინიშნეთ)*_____	12
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2
მთავრობას არ ჰქონია წარმატება	*-5*

23. თქვენი აზრით, რა იყო საქართველოს მთავრობის ყველაზე დიდი წარუმატებლობა 2003-დან 2012-წლებში? [შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]

ადამიანის უფლებების დარღვევა	1
უთანასწორო ეკონომიკური ზრდა	2
ვერ შეძლო 2008 წლის ომის თავიდან აცილება	3
მომიტინგეების დარბევა	4
არ უსმენდა ხალხს	5
სამეცნიერო და კულტურული ინტელიგენციისადმი უპატივცემულობა	6
საკუთრების უფლებების დარღვევა	7
*სხვა (ჩაინიშნეთ)*_____	8
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2
მთავრობას არ ჰქონია წარუმატებლობა	-5

24. თქვენი აზრით, რა იყო საქართველოს მთავრობის ყველაზე დიდი წარმატება 2012 წლიდან დღემდე? [შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]

საყოველთაო დაზღვევის პროგრამის შემოღება	1
C ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამის განხორციელება	2
COVID-19 პანდემიის რისკების ეფექტური მართვა	3
მმართველობის საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა	4
გაუმჯობესებული ბიზნეს-გარემო	5
ადამიანის უფლებების დაცვა	6
საარჩევნო სისტემის რეფორმა	7
რუსეთთან ურთიერთობაში რისკების შემცირება	8
ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება	9
ევროკავშირში უვიზო მიმოსვლა	10
პოლიტიკური სტაბილურობა	11
სასჯელაღსრულების სისტემის გაუმჯობესება	12
არანაირი მიმდინარე ომი	13
სამართლიანობის აღდგენა	14
*სხვა (ჩაინიშნეთ)*_____	15
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2
მთავრობას არ ჰქონია წარმატება	*-5*

25. თქვენი აზრით, რა იყო საქართველოს მთავრობის ყველაზე დიდი წარუმატებლობა 2012 წლიდან დღემდე? [შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]

პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღების პირობის დარღვევა	1
„გავრილოვის ღამე“	2
სუსტი ეკონომიკური ზრდა	3
პროკურატურისა და სასამართლო სისტემის დეპოლიტიზირების შეუსრულებლობა	4
წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობა	5
გადაწყვეტილების მიღების არაეფექტური სისტემა	6
არაეფექტური პიარი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ	7
ვერ მოახერხა სოხუმთან და ცხინვალთან პირდაპირი დიალოგის პლატფორმების შექმნა	7
ვერ მოახერხა ქართველებისა და აფხაზების / ოსების სოციალური გაუცხოების შემცირება	8
ვერ მოახერხა საჰაერო თავდაცვის სისტემების დაყენება	9
ვერ შეასრულა სამართლიანობის აღდგენის დაპირება	10
*სხვა (ჩაინიშნეთ)*_____	11
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2
მთავრობას არ ჰქონია წარმატება	*-5*

26. თქვენი აზრით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის გარდა რა იყო 2008 წლის ომის ყველაზე უარყოფითი შედეგი?

ადამიანების დაღუპვა	1
ნატოში ინტეგრაციისთვის ხელის შეშლა	2
ეკონომიკური განვითარების დაზარალება	3
ევროკავშირში ინტეგრაციისთვის ხელის შეშლა	4
ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის გაუცხოების გაღრმავება	5
კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული სამშვიდობო პროცესის ჩაშლა	6
რუსეთთან ურთიერთობების გაუარესება	7
*სხვა (ჩაინიშნეთ)*_____	8
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2
არ იყო სხვა უარყოფითი შედეგი	-5

27. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას? [წაუკითხეთ. როტაცია.]

	სრულად ეთანხმებით	**ეთანხმებით**	**არ ეთანხმებით**	**სავრცოდ არ ეთანხმებით**	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*

საქართველო წამყვანი დემოკრატიაა პოსტ საბჭოთა ქვეყნებში	4	3	2	1	-1	-2
დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველო არასოდეს განვითარებულა სწორი მიმართულებით	4	3	2	1	-1	-2
დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ისტორიაში უფრო მეტი წარუმატებლობაა, ვიდრე წარმატება	4	3	2	1	-1	-2
ამჟამინდელი მთავრობა სახელმწიფოს მოდერნიზაციაზე მეტად უპირატესობას ადამიანის უფლებების დაცვას ანიჭებს	4	3	2	1	-1	-2
საქართველოს უახლესი ისტორიას ძირითადად ცალკეული ადამიანები წარმართავენ, ვიდრე ინსტიტუტები	4	3	2	1	-1	-2

დემოგრაფია

28. **რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?**

[ინტერვიუერს: არ წაუკითხოთ, შეუსაბამეთ. თუ რესპონდენტი ამბობს, რომ ასეთი პარტია არ არსებობს, არ იცის, ან უარზეა, ჩაეკითხეთ - სხვებთან შედარებით, სიმპათიით რომელი პარტიის მიმართ ხართ განწყობილი?]

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი [ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი]	1
თავისუფალი საქართველო [კახა კუკავა]	2
ახალი მემარჯვენეები [მამუკა კაციტაძე]	3
დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო [ნინო ბურჯანაძე]	4
მემარცხენე ალიანი [კახაბერ ძაგანია, სოსო შატბერაშვილი]	5
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	6
ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის [დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა]	7
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო [ბიძინა ივანიშვილი]	8
რესპუბლიკური პარტია [ხათუნა სამნიძე, თამარ კორძაია]	9
მრეწველობა გადაარჩენს სააქართველოს [ზურაბ ტყემალაძე]	10
საქართველოს კონსერვატიული პარტია [ზვიად ძიძიგური]	11
ლეიბორისტული პარტია [შალვა ნათელაშვილი]	12
ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი [ზურაბ ჯაფარიძე]	13
სახელმწიფო ხალხისთვის [ნიკა მაჭუტაძე]	14
პოლიტიკური პლატფორმა - ახალი საქართველო [გიორგი ვაშაძე]	15
ახალი ქრისტიან დემოკრატები [ნიკოლოზ ჯოგლიძე]	16
ქართველ ტრადიციონალისტთა გაერთიანება [აკაკი ასათიანი]	17
თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა [კონსტანტინე გამსახურდია]	18
თამაზ მეჭიაური გაერთიანებული საქართველოსთვის [თამაზ მეჭიაური]	19

ქართული მარში [ჯონდი ბაღათურია]	20
ევროპელი დემოკრატები [პაატა დავითაია]	21
გამარჯვებული საქართველო [ირაკლი ოქრუაშვილი, გუბაზ სანიკიძე]	22
სამართლიანობისათვის [ეკა ბესელია]	23
ლელო [მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე]	24
მოქალაქეები [ალეკო ელისაშვილი]	25
სხვა (მიუთითეთ)	26
(ასეთი პარტია არ არსებობს)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

29. **საქართველოში ბევრი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობს. თქვენ საკუთარ თავს რომელ მათგანს მიაკუთვნებთ?**

[ინტერვიუერს: არ წაიკითხოთ პასუხის ვარიანტები, შეუსაბამეთ. ერთი პასუხი]

სომეხი	1
აზერბაიჯანელი	2
ქართველი	3
აფხაზი	4
ოსი	5
რუსი	6
ჩეჩენი, ქისტი	7
სხვა (მიუთითეთ)	8
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

30. **ამ ინტერვიუს ენის გარდა სხვა რა ენებს იყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და მეზობლებთან საუბრისას ან სასმახურში?**

[ინტერვიუერს: არ წაიკითხოთ პასუხის ვარიანტები, შეუსაბამეთ. მიიღეთ ყველა პასუხი]

აფხაზურს	1
სომხურს	2
ასირიულს	3
აზერბაიჯანულს	4
ავარულს/ხუნძურს	5
ქისტურს/ჩეჩნურს	6

ქართულს	7
ბერძნულს	8
ინგლისურს	9
ქურთულს (ზაზაქი, ქურმანჯი და სხვ.)	10
მეგრულს (და ლაზურს)	11
ოსურს	12
რუსულს	13
სვანურს	14
თურქულს	15
სხვას (მიუთითეთ)	16
(არ ვიყენებ სხვა ენას)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

31. **საქართველოში ბევრი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობს. თქვენ საკუთარ თავს რომელ მათგანს მიაკუთვნებთ?**

[ინტერვიუერს: არ წაიკითხოთ პასუხის ვარიანტები, შეუსაბამეთ. ერთი პასუხი]

მართლმადიდებელი	1
სომხური სამოციქულო ეკლესია	2
მუსლიმი	3
სხვა ქრისტიანული ჯგუფი	4
სხვა (მიუთითეთ)	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

32. **განსაკუთრებული ღონისძიებების გარდა, როგორებიცაა ქორწინება ან გასვენება, რამდენად ხშირად ესწრებოდით რელიგიურ მსახურებას?** [წაუკითხეთ პასუხის ვარიანტები]

1	**კვირაში ერთხელ მაინც,**
2	**თვეში ერთხელ მაინც,**
3	**მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებზე.**
4	**უფრო იშვიათად.**
5	**არასდროს.**
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

33. **რამდენად ხშირად იყენებთ ინტერნეტს?** [წაუკითხეთ.]

ყოველდღე,	1
კვირაში ერთხელ მაინც,	2
თვეში ერთხელ მაინც,	3
უფრო იშვიათად,	4
თუ არასდროს?	5
[არ წაუკითხოთ] *(არ ვიცი რა არის ინტერნეტი)*	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

34. მოდით, ვისაუბროთ თქვენი საქმიანობის შესახებ. ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? გთხოვთ, შეარჩიეთ ის საქმიანობა, რომელიც თქვენთვის ძირითადია.

[ინტერვიუერს: წაუკითხეთ, ერთი პასუხი]

ვარ პენსიონერი და <u>არ</u> ვმუშაობ	1
ვარ სტუდენტი და <u>არ</u> ვმუშაობ	2
ვარ დიასახლისი და <u>არ</u> ვმუშაობ	3
ვარ უმუშევარი	4
ვმუშაობ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე (მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	5
ვარ თვითდასაქმებული (მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	6
ვარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მუშაობა არ შემიძლია	7
სხვა	8
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

35. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალ საფეხურს?

სრული ან არასრული ზოგადი განათლება (8-9 კლასი) ან უფრო ნაკლები,	1
სრული ზოგადი განათლება [იგულისხმება 10-12 კლასის განათლება]	2
საშუალო სპეციალური განათლება [დასრულებული აქვს სპეციალიზებული საშუალო განათლება: ტექნიკუმი და ა.შ., მიღებული აქვს კვალიფიციური მუშაკის ხარისხი]	3
არასრული უმაღლესი განათლება	4
სრული უმაღლესი განათლება	5

(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

36. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე საყოფაცხოვრებო ნივთს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის ნივთები, რომლებიც თქვენი ოჯახის საკუთრებაშია და რომლებიც ამჟამად მუშა მდგომარეობაშია. გთხოვთ, მითხრათ, გაქვთ თუ არა ოჯახში …

[ინტერვიუერს: წაუკითხეთ და მონიშნეთ ნივთის გასწვრივ, თუკი ეს ნივთი რესპონდენტს აქვს ოჯახში]

		ფლობს	არ ფლობს	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	მაცივარი	1	0	-1	-2
2	ფერადი ტელევიზორი	1	0	-1	-2
3	სმარტფონი (ტელეფონი ფერადი ეკრანით და ინტერნეტის წვდომით)?	1	0	-1	-2
4	ტაბლეტი (მაგ. აიპადი, გალაქსი ტაბი, ლენოვო და ა.შ.)	1	0	-1	-2
5	მანქანა	1	0	-1	-2
6	კონდიციონერი	1	0	-1	-2
7	ავტომატური სარეცხი მანქანა	1	0	-1	-2
8	პერსონალური კომპიუტერი, ლეპტოპის ჩათვლით	1	0	-1	-2
9	ცხელი წყალი	1	0	-1	-2
10	ცენტრალური გათბობა	1	0	-1	-2

37. 1989 წლის შემდეგ მოგიწიათ თუ არა თქვენ ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს საცხოვრებელი ადგილის დატოვება საქართველოში არსებული კონფლიქტის გამო?

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2